

# განმე

თბილისი ბავ-ბა "კომუნისტი"  
ვცირს 21 სექტემბერი 1941წ

№ 21

გამოცემის წელი XVIII



ლ. ლაშვილი

გეგელსი: ამდენ ჭურვს ვაწვდი ამ ქვეშებს და მაინც საფრთხე თავს დაგვტრიალებს.

# ბეზი

საპარიკმახეროში შევედი თუ არა, დიდხანს ლოდინი არ დამჭირებია. ჩემი ნაცნობი ოსტატი ოვანეს თავისუფალი იყო და მან თავიზიანად მომმართა: — „პაეალუიტე, თავისუფალი გახლავართ!“ — სალაში მივეცი მას და სავარძელი დავიკავე. ოვანეს ჩვეულებად ჰქონდა, უსათუოდ პოლიტიკაზე დამიწყებდა ლაპარაკს, ახლაც მან არ დააყოვნა და დაიწყო: — „რუზველტისა და ჩერჩილის დეკლარაცია წავიკითხე. ბავშვებს ვფიცავარ, ძალიან მომეწონა. კაი რამე კი დაუწერიათ, აი... თქვენ რას იტყვიან? — ძალიან კარგია. — გუბასუხე და სავარძელში გავსწორდი. მან განაგრძო. — აგერ დაინახავთ, თუ არ გამართლდეს ჩემი სიტყვა. ფაშისტებს ვუტყობთ დედას.—მათი ხსენებაც აღარ უნდა დარჩეს. ჩემი ორი ბიჭი ხომ ჩვენს წითელ ჯარშია და თუ საჭირო იქნება, მესამე მე თვითონ ვიქნები. თქვენ ასე ნუ მიყურებთ. ჩემი თავი ენაცვალოს ჩვენს საბჭოთა ქვეყანას. ამ ლაპარაკში იგი თავის საქმესაც აკეთებდა. იგი უკვე შეუღდა ჩემს გაპარვას. გაქაფული ფუნჯი ლოყებზე დამისვა და სამართებელიც ხელში მოიმარჯვა.

ამ დროს ერთი მოზრდილი ბუზი ბზულით მოიპრა და ზედ ცხვირზე დამაჯდა. შეწუხება ვიგრძენ. ბუზი კი არხეინად იჯდა. ვიკადრე ცხვირის ზევით აწევა (რაც ჩვეულებად არა მაქვს), ბუზი გადმოცოცდა და ნესტოს კიდურზე მოთავსდა, რამაც უფრო გამაღიზიანა და თავი ინსტიქტურად შევარხე. ოვანესმა ხელი აუქმია მას. იგი აფრინდა, მაგრამ იმ წუთშივე, ისევ მოფრინდა და ლოყაზე დამაჯდა. — ბიჭოს, აღარ მშორდებია, რა უნდა ნეტა ჩემგან?—ჩავილაპარაკე ჩემთვის. — არც მოგშორდებიათ. თუ ჩემი არ გჯერათ, თვითონ დარწმუნდებით. სერიოზული კილოთი მომიგო ოვანესმა და ისევ აუქნია ხელი ბუზს, რომელიც არ იქნა და ვერ მოვიშორეთ. იმ ბუზის ქცევამ მართლა გამოცა, რაც ალბათ არ გამოეპარა ოვანესს და მან ახლა ლაპარაკის თემად უკვე ბუზი გაიხანდა. — ხომ გაგიგონიათ, ჩემო კარგო, შემოდგომისას ბუზები ძალზე იკბინებიან.—დაიწყო მან.—ახლა სწორედ შემოდგომა გახლავთ. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ ბუზები სიცივეს ვერ იტანენ და ზამთარში იხოცებიან. და ამიტომაც, — შემოდგომის თვეები მათი აღსასრულის თვეებია. ზოგიერთი ადა-

მიანებიც ბუზებს გვანან. თუ მე არ ვიქნები ქვა ქვაზე დადულდესო,—ამბობენ ისინი. მაგალითისთვის შორს არ წავალ. ფაშისტებიც ჩვენთან ბრძოლაში ამჟამად ბუზებივით სასოწარკვეთილებას განიცდიან. ისინი ჩვენი ქვეყნის სუსხიან ზამთარს ვერ გადაიტანენ. ამას ისინი კარგად გრძობენ და ამიტომაცაა, რომ ისინი მწარედ იკბინებიან. ასეთია ბუნების კანონი. — ეს ხომ ასეა,—ისინი მართლა ბუზებივით იკბინებიან.—მათი აღსასრულის დღე მოახლოვებულია. მაგრამ ჯერ კიდევ მათ ძალა შერჩენიათ და ისინი საშიშროებას წარმოადგენენ. როგორც მტრები.—გუბასუხე მე. — საესებით გეთანხმები,—სთქვა მან და კიდევ რალაც უნდა ეთქვა,—მაგრამ დრო აღარ იყო. მე უკვე გაპარული ვიყავი და სავარძლიდან წამოვდექი. მან ჩემი გადმომცა. სალაროში ფული გადავიხანდე და როცა ოვანესს ვემშვიკობებოდი, იგი მომიხლოვდა და განმეორებით მითხრა: — დიან, ისინი ბუზებივით იკბინებიან და ბუზებივით დაიხოცებიან, — დამიჯერეთ, ჩემს მზეს ვფიცავ. მართლაც გეუბნებით.


სანდრო

## სიციხემ აუწია

„წითელმა არმიამ პირველი ორი თვის მანძილზე გაანადგურა გერმანიის რამოდენიმე ათეული დივიზია“.

ნახ. გ. ლომიძისა

გაზეთებიდან



— ბატონო ექიმო, დღეს მაინც დავგრთავთ ნებას, რომ ფიურერს ვაცნობოთ ორი თვის ბრძოლის შედეგები? — არც დღეს შეიძლება. დღეს სიციხემ კიდევ უფრო მეტად აუწია. და აბოლებს.

## ნისლა ვაცის აგზავნი (იზავისეშურად)

ცნობილია თხის სიბრძნე, როცა იგი გასუქდება: თვის ულუფას აღარ კმარებს; ღობე-ყორეს მოედება და წაიტყნს უცბად კისერს ბედისწერით ანატაცი...  
იალალზე, არხეინად სძოვდა ერთი ნისლა ვაცი, კუნტრუშობდა მწვანე კორდზე, ვაცურ ფიქრით განატაცი.  
მაგრამ აი, თავის ხვედრსა და საძოვარს არ დასჯერდა, — მაღალ კლდისპირს გადაადგა და მის სიბებს დააცქერდა.  
წვერცმაცუნამ, იმ კლდის ქიმზე ნეკერი რამ დაინახა და ჩაკორტვა მის ყლორტების მან გადაჭრით განიზრახა.  
მყის ისკუბა და გადახტა კიკინით და ქაღილითა, რომ ყელს ჩაიკოკონოვებდა ის გემრიელ სადილითა.  
მაგრამ დახეთ ვაცის ჭკუას: გადაუსხლტა სიბზე ფენი, და უფსკრულში გაღიჩხა უმალ კისერმონატენი.  
მორალისთვის ისტორიის გადაფურცვლა არ გვჭირია: იმ თხის მსგავსი მაგალითი ჩვენს თვალწინათ თუ სმირია:  
ნისლა ვაცის სურვილები თურმე ახლაც ბევრს იტაცებს და მათ შორის, ბულგარეთის პორტფელის მინისტრ ვაცებს;  
მათაც სალ კლდის სიბებისკენ თვალისქერა განუზრახავთ, რადგან „ყელის საკოკნოზო“ იქ ნეკერი დაუნახავთ.  
მაგრამ მახლავ, თუ იმ ვაცურ ნახტომისთვის ქსელებს გრვებენ, სახტომს, სახტომს დაუკვირდენ — უმალ კისერს მოიტყენენ.

ფარსლანი



ნახ. ე. მაყაშვილისა



ბულგარელი დიპლომატი: — საბჭოთა კავშირის მეშინია, თორემ რაც შეეხება ძია შიტლერს, ბრმაც კი ჰხედავს, რომ ის ძირს უმაგრებს ბულგარეთის დამოუკიდებლობას.

მყეუარი

„მიუხედავად გერმანელ ფაშისტთა დიდი მარცხისა, ჰებელსი მაინც განაგრძობს ტრაზანს „არიელთა“ უძლეველობის შესახებ“.

გაზეთებიდან



ძალღს დიდი ყბა აქვს, დაე — იყეფოს; დაიღლებს და თავი იტეხოს.

კვისლინგმა ფიურერისაგან დავალება მიიღო, რათა შეედგინა მოხალისეთა კორპუსი აღმოსავლეთის ფრონტზე „საღვთო ომში“ მონაწილეობის მისაღებად.

ერთი საათის შემდეგ ქალაქის ქუჩები „დაამშვენა“ „მთავრობის“ მოწოდებამ:

ყველას! ყველას! ყველას!  
ეწყობა მოხალისეთა კორპუსის საღვთო ომში მონაწილეობის მისაღებად ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

გავიდა მთელი დღე, მეორე დღემაც გაიარა, მესამე დღეც ღამეთ იქცა, მეოთხე დღემაც თავი დაგვიკრა, მაგრამ მოხალისეთა „კორპუსში“ ერთი კაციც არ ჩაწერილა.

კვისლინგმა ხელახლა წაიკითხა მის მიერ შედგენილ განცხადებების დედანი და სახეს სიწითლემ გადაჰკრა. მეექვსე დღეს ქალაქის ქუჩებს „ამშვენებდა“ ახალი განცხადება:

ყველას! ყველას! ყველას!  
ეწყობა მოხალისეთა დივიზია საღვთო ომში მონაწილეობის მისაღებად ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

გავიდა კიდევ ხუთი დღე, მაგრამ შტაბს არც ერთი „მოხალისე“ არ მიკარებია. ამის გამო ქუჩაში გაჩნდა კვლავ ახალი განცხადება:

ყველას! ყველას! ყველას!  
ეწყობა მოხალისეთა ბოლქვი საღვთო ომში მონაწილეობის მისაღებად ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

განცხადების ეს ვარიანტიც „უბედო“ გამოდგა და კვისლინგის მიწოდება დარჩა ხმად მღალაღებლისა უდაბნოსა შინა.

ამის შემდეგ ძველი განცხადება კვლავ ახალი ვარიანტით შეიცვალა:

ყველას! ყველას! ყველას!  
ეწყობა მოხალისეთა რაზმი საღვთო ომში მონაწილეობის მისაღებად ბოლშევიზმის წინააღმდეგ.

ამ განცხადებამაც ვერ შესძლო ფიურერის წინაშე სირცხვილ-ნაჭამი ლაქის სამარცხვინო მდგომარეობის შემსუბუქება: რაზმში ჩაწერის სურვილმა არც ერთ მოქალაქეს არ აუყუჩა გული.

ამის შემდეგ კვისლინგმა გამოაცხაო ახალი მოწოდება:

ყველას! ყველას! ყველას!  
ეწყობა მოხალისეთა ჯგუფი საღვთო ომში მონაწილეობის მისაღებად ბოლშევიზმის წინააღმდეგ.


შტაბს მაინც არავინ არ ეკარება.

ს. ისარიძე.

**ჭადრაქულად**

„ინგლისთან და ამერიკასთან საბჭოთა ცეცხლის შეთანხმებამ თავიანთი დიქცია გერმანულ ფაშისტებს, გერმანიის ხალხს გამარჯვების იმედი არ აქვს.“  
 უცხოეთის გაზეთებიდან

ნახ. გ. გელაშვილისა და გ. იაშვილის



დახი-ფუხიო წამოიწყო „ბოლიცკრივი“ და ავირიო, მაგრამ წითელმა არჩიამ გაუცეთია მუხედი ქაში. დაემა მისი აღსასრული, ვერ წაუვა ვერსად შაშაი, აწ დაღვრილი ხალხია სისხლი ამოღებუა ჰიტლერს შაშამ.

**მეგობარი ღარჯყეისი შეველუ**

„ჰიტლერი იმ შოკირებს მოეცავოინებს, რომელსაც სურს ერთი დარტყმით გაიმარჯვოს.“  
 ამერიკ. გაზ. „ეკვირინელი“

ნახ. ელ. მაყაშვილისა



ასეთი ნოკ-აუტი ხედა წილად ამ „მოკრივეს“.

**ჯარიმული ივრთხილია**

„გერმანული ოფიცრები და ზეცვრეაზე ზე უჭრაბთ. მისი ფაშისტები ატყობენ მისი შტაბზე.“  
 ნახ. ვ. ლომიძისა



— იმ ჯვრისკაცისთვის რატომღამთ თოჯ ზატოია ოფიცრო?  
 — ძალიან გამხრდავია და მტრის რაზმში მარტო არ შეტვრას.

**ქარქი**

ფაშისტ „გერმანებს“ ერთ „შანაკში“ საუბარი ჰქონდათ, თუ დაიბეჭდულ სახლებიდან ეს რა გამოქვიანდა, ზოგმა რა თქვა და ზოგმა რა, ჩამოთვალეს მინივე, რაც დახეობილ სოფლის ძარცვით „დალა“ შეიძინეს. ერთმა უთხრა—ვეც ბეჭი რამ მოუკრეოდ დღესა, მაგრამ შურზე ვერ ვინივე და მარტუბს ემა.  
 —მართალია ქურტი? —სიტყვა ედღემ და შეარბია ზურგი-„ფორფერმა ხომ გვიბრძანა, რომ ვინივეთა ქურტი?“

ციხმარე დღის ევლეა საათს, ევლეა წუთს და ევლეა წამებს, შენ ტერფოლი შენ სუფილი, სოფლის ფრთხილდო მარტო წამებამებს „მინცელებში“ განაწამებს. თმა „გვერდი“ წაბლისფრია, (ხან წითელიც და ხან შავი). „შოპიკა“ დანმა ცეცხლში კოფნით, განანავდა საღებავი!

და შეგწინდა ამით თავი. იოსფერი ეტა ვეცხე, წულში გამოჭრეფული, ერთი ფაშისტის ტრაიბუდით გამოსარკისწინებული.

**ყირთი ქალს**

ბოლოს თითებს გიმწვინდო, შეღებული ათი ფრჩხილი: აღმანიფით აღუსილი. აბადე ომი: მტრითა ურდი, წებზე ლეისე ბინაურ ბრეცალებს, დებევე თილვებს უწინდოდ! შენი ოფითი შორეულად ანებს! იმ დღეს ბოლოს ვინ დანებს? სტეა მასილი ნაშენი ხარ, საბჭოთა ქელის სულ და ვებეჩარ ევლეა ირჩილის და შენ ზგერულ მანიცერის რაიში დგებარ. აღთინვე მომდობარბარ, ნ. ბიძვილი

**ნალვლიანი პაეპანი**


„უცანასკნელ შეცხედრისს ბიტლერმა აუწერა მუსოლინი ფორნტებს შეცხენილი უტრეწო მდგომარეობა და მისიხივად უბრათი დასმარტვა.“  
 ნახ. მ. ვეზოლასი



ბიტლერი — გაბოხს დურე, შედა შენ რომ აქ პარტედალ ვაბდარბილი?  
 ნება იმ დროს, გამარჯვებას რა იოლად მოველოდით...  
 მუსოლინი — ან შენ, ვიგმა რა იცოდა, ან პრევე დღემ რა იცოდა, რომის ჩვენი იმედიან ასე ადრე დახტეწობდა?

**ივალეილ ქარნალისგებს შორის**

„იტალია გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყანაა.“  
 ნახ. ნ. ნადარეშვილისა



— მინდა ჩვეს გუბერნატორს ვისიფოთი, ნება დამრობს გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყანაში ვილოგზურთო.  
 — რაღა შირს მიღებარ, განა იტალია გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყანა არ არის?



### მაკარონი, ოპერადეჟული ივალისეფი: ირთეჟა

„იტალიელები, როგორც ცნობილია, აღმერთებენ მაკარონს, მაგრამ იტალიელებს არ უყვართ ომი“.

ამხ. ლოზოვსკის განცხადებიდან

მათ უყვართ... დიდი ჯარის, —  
ეს სიყვარული, ცხადია...  
მაკარონისთვის დაძრულა  
ბ. მუსოლინის არმია!  
სისხლსა ღვრის და გვემუქრება  
ეს ორი წელიწადია:  
ხელს ნუ ახლებთო მაკარონს,  
ვართ მისთვის დანაზადია...  
მაგრამ ყუბანში? შორსაა!  
ჩვენ უფრო ახლოს ვეძებდით:  
იტალიური ოპერა  
და ბალკანური კერძები!  
უცებ შიტლერი განრისხდა —  
ველარ მიიღოთ ვერც ერთი!  
მან მაკარონი წაიღო,  
რომს დაუწერა რეცეპტი:

თქვენ გიყვართ... დაე სიყვარულს  
ნურც გაეგვლება საზღვარი,  
თქვენი დევგმირი ვაქაცნი  
აღმოსავლეთით დასძარით, —  
დე, იქ შეერწყოს ერთმანეთს  
ჩვენი სწრაფვა და მადანი,  
იქ არის ბევრი ხორბალი  
და მაკარონის მადანი!..

ბ. მუსოლინი დაძრა  
ლაშქარით რუხი ფერისა,  
მას მაკარონი ეწადა,  
ძვლებს დაღეწვა ეღირსა!

დიდის ხნით შემონახული,  
დიდი ხნის ნაცოდვილარი  
ჯერ მაკარონი დაჭარვა...  
... დაეკარგება მილანიც!...  
ა. ალაშია.



— და თქვენ სამნი თავს დაესხით ერთ ქალს?  
— როგორ თუ ერთ ქალს? მასთან ბავშვების მთელი ჯგუფი იყო.

### განსხვავება ულარ არის


ნახ. № ნაწილის წითელარმიელის კ. გოგიბერიძისა




— საიდან მოდინართ პოლკოვნიკო?  
— ფრონტიდან. თქვენ, მაიორო?  
— ზურგიდან.

### სლორი გამოსავალი

ნახ. ა. კანევსკისა



— იცი რა ფრიც, გაცილებით უკეთესი იქნებოდა, რომ ამ ტანკების მაგიერ ჩვენი ფიურერი დაგვემარხა.



— განგაშია?  
— მასზე უარესი ჰებელსი აცხადებს საბჭოთა ყუმბარმშენები ბერლინს ზიანს ვერ მიაყენებენო.

პოლოლიკაშილს გაუგეს

პარიმონ პოლოლიკაშილს თავი განათლებულ კაცად მოაქვს, მაგრამ საზოგადოებრივ საქმეებში გარევა არ უყვარს. ამ თავის ჩვეულებას მან არც იმის ზემდეგ გადაუხვია, რაც ჩვენი სამშობლო, ვერაგ ფაშისტთა ურდოების თავდასხმის გამო, საფრთხის წინაშე დადგა. ის არ ჩაწერილა არც თავდაცვა-ავეი-აქიმის რაზმში, არც სახალხო ლაშქარში, არც წარმოდგინეთ, მორიგეობა გაუწევია, არც დაწესებულებ-აში და არც თავის საცხოვრებელ სახლში.

ის ორ ადგილას მსახურობს: ერთ ადგილას ძირითადად, მეორე ადგილას შეთავსებით. სადაც შეთავსებით მსახურობს იქ როცა შესთავაზეს მორიგეობა, გაჯავრდა:  
— აქ მე შეთავსებით ვარ, რაღაც 300 მ. ვიღებ და თქვენ გინდათ კიდევ მამორიგეთ?  
სადაც ძირითადად არის იქ ცოტა მოზოდიშებით განაცხადა:  
— მართალია ამხანაგებო, აქ ძირითადად ვარ, მაგრამ იქ უკვე ჩამატეს მორიგეობაში და ახლა ყველაგან ხომ ვერ ვიქნები?

სახალხო ლაშქარში ჩაწერის შესახებაც ასევე მოიქცა.  
— მე უკვე ჩავეწერე სახალხო ლაშქარში იმ რაიონში, სადაც შეთავსებით ვმუშაობ, ის პუნქტი ჩემს ბინაზე უფრო ახლოა, ჩემთვის მოხერხებულა და ლაშქარი ხომ ერთია და რა განსხვავებაა სადაც ვიქნები.

შეთავსების ადგილას როცა გამოაცხადეს ვის მსურს ჩაწეროს სახალხო ლაშქარში, პარიმონმა მე-დიდურად განაცხადა:  
— მე ამხანაგებო, იქ უნდა ჩავეწერო, სადაც ჩემი ძირითადი მსახურია. როცა პარიმონს ბინაზე მორიგეობა სთხოვეს, მან შორს დაიჭირა:

— ორ ადგილას ვმსახურობ და მაშასადამე ორ ადგილას უნდა ვიმორიგეო არა? სახალხო ლაშქარ-შიც ხომ უნდა ვიყო, და ახლა აქაც გინდათ მამორიგეთ? დავცენება აღარ მინდა?

პარიმონ პოლოლიკაშილს ეს ყველაფერი ეპატივა, სანამ თვითვე არ გასცა თავისთავი. ეს ასე მოხდა: ერთხელ ღამის 11 საათი იქნებოდა და თავის საცხოვრებელ სახლის ალაყადის კარებთან შეჩერებული პარიმონი ნაცნობს ესაუბრებოდა.

- პარიმონ ლაშქარში ჩავეწერე?— ჰკითხა მოსაუბრემ.
- არა, კაცო, სად მცალია მაგისთვის.
- განა ჩვენ კი მოცლილები ვართ, რომ ჩავეწერეთ?— უყენით სთქვა მოსაუბრემ.
- არა ძმაო, თქვენ არ ვიცი და მე არ ვემიძლია არც ლაშქარში სიარული და არც მორიგეობა, ეზოებში და დაწესებულებებში.
- როგორ, არც მორიგეობაში მონაწილეობ?
- ჯერჯერობით კი ვახერხებ ისე ცხოვრებას და...
- მაშ გვატყუებ ამხ. პოლოლიკაშილო?— მოისმა სიბნელეში სახლმპართველის ხმა.
- პოლოლიკაშილი სახტად დარჩა. უნდოდა პასუხი გაეცა, მაგრამ ველარ მოახერხა.

შ ა ი რ ე ბ ი

— ცას გუფუნით რომ მიაჩნდეს ის ვაუკაცი ვინარო?!  
— ათ „მესერაშიდტს“ გამოუღდა ერთი ჩვენი მფრინავიო:

ოთხს კუდილთ ქვა ასროლინა შინ გაგზავნა მტირალიო, ექვსიც მიწას დაანარცხა მოსპო მტერი მღრინავიო...



ჩვენსკენ მოდის, ბაჭი, ბუქით, დაშისტების ტანკისტო... მთვრალი არის იმანჭება, როგორც ცირკის არტისტო.

იმუქრება:— „ოც ტანკს მოგსპობ წითლებს დავხვრეტ ტყვიითაო!“ მაგრამ ჩვენი დარტყმის შემდეგ მიწა ხვეტა ცხვირითაო.



იერიშზე გადავიდნენ წითელ არმიელებიო: ფაშისტების სისხლით მორწყეს გადამწვარი ველებიო...

ხიშტის ძალას ვერ უძლებენ პიტლერელი გველებიო: ბევრჯერ მილიონი უღირთ შესაძრომი ხვერელებიო...

პირიველი პავლე ბლიაქი

41-339



# თანამედროვე პიროსი

„საბჭოთა მიწის ყოველი გოჯის გადმოლაზვა ძვირად უჯდება მტერს. ატმოსფეროს დრონებზე გერმანიის არმიის ზარალი დღითი-დღე იზრდება.“  
გაზეთებიდან

ნახ. მ. ვაღბოლსკისი



ჰიტლერი:—„კიდევ ერთი ახეთი გამარჯვება და მთლად უჯაროდ დავრჩები“